

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების
შეტანის თაობაზე

აღნიშნული კანონპროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პირობებს. ხოლო კანონპროექტის მიზანია უზრუნველყოს ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში ასახულია ის ცვლილებები, რომელიც განხორციელებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 11 ივლისს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებებით.

წარმოდგენილი კანონპროექტი ახლებურად განსაზღვრავს პრივატიზების ცნებას, რაც სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრივატიზების ცნების განსაზღვრებასთან.

კანონპროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების პრივატიზება უნდა განხორციელდეს აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

ამასთან, ქონების პირდაპირი მიყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურენტული შერჩევის გზით. შესაბამისად, „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა ნორმებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ კანონპროექტშიც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების კონკურენტული შერჩევის გზით პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ხოლო საკითხს ამზადებს სამინისტრო.

კონკურენტული შერჩევის გზით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება, თუ:

- ა) არსებობს ინვესტიციების განხორციელების პირობათა სიმრავლე;
- ბ) დაინტერესებულ პირთა მიერ შემოთავაზებული პირობები ალტერნატიულია.

ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისათვის კანონპროექტით განსაზღვრული პროცედურები იწყება დაინტერესებული პირის მიერ ინტერესის გამოხატვით.

დაინტერესებულ პირთა წინადადებებს იხილავს მთავრობა და იღებს გადაწყვეტილებას კონკურენტული შერჩევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე.

კონკურენტული შერჩევის მიზნით მთავრობა ქონების და შესაბამისი პირობების შესახებ გადაწყვეტილებას აქვეყნებს საინფორმაციო საშუალებებში და განსაზღვრავს ინტერესთა გამოხატვის ვადას, რომელიც, როგორც წესი არ შეიძლება იყოს 1 თვეზე ნაკლები. თუ დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამ ვადის გონივრული შემცირება საჯაროობის სხვაგვარი უზრუნველყოფისა და პოტენციური ინვესტორების ინფორმირების პირობით.

მთავრობა ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულების შემდეგ იხილავს შემოსულ განცხადებებს და მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს დასაბუთებულ

წინადადებებს ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ. გადაწყვეტილებას ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ იღებს მთავრობის თავმჯდომარე.

კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში ინტერესთა გამონატვის ვადის დასრულებამდე, ქონების პრივატიზების პროცესის შესრულების უზრუნველსაყოფად დაინტერესებული პირი ვალდებულია, წარადგინოს საბანკო გარანტია ან შესაბამის დეპოზიტზე განათავსოს საპრივატიზებო ქონების ღირებულების 5%. თუ შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობა აღემატება საპრივატიზებო ქონების ღირებულებას, აღნიშნული საბანკო გარანტია ან დეპოზიტზე განთავსებული თანხა უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს. პროცესის შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გარეშე.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიდან ამოღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების კონკურსის და იჯარა-გამოსყიდვის პრივატიზების ფორმები, ვინაიდან დღეისათვის, როდესაც უკვე არსებობს პროცესიანი აუქციონი აღნიშნული ფორმების გამოყენება ეკონომიკურად არაეფექტურია და შესაბამისად აღარც გამოიყენება პრაქტიკაში. ამდენად კანონპროექტში ასახულია ის ცვლილებებიც რომელიც გამოწვეულია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესით.

კანონპროექტით სიახლეს წარმოადგენს, რომ იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება 5-ჯერ აუქციონის ფორმით გამოტანილი ან ქონების პრივატიზების პროცესის 1 წლით გაგრძელების შემდეგ ქონების პრივატიზება, აღნიშნული ქონება შეიძლება გატანილ იქნეს აუქციონზე, სადაც შესაძლებელი იქნება, შეთავაზებული იქნეს იმაზე დაბალი ფასი ვიდრე გამოცხადებული იყო, ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს.

კანონპროექტის მიხედვით ასევე კონკრეტდება ქონების პრივატიზების 1 წლით გაგრძელების რეჟიმის მარეგულირებელი ნორმები პრაქტიკაში წარმოშვებული პრობლემატიკური საკითხების გათვალისწინებით. კერძოდ, გამყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება ქონების პრივატიზების პროცესის 1 წლით გაგრძელების შეწყვეტის თაობაზე, რაც ქვეყნდება კანონით დადგენილი წესით.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებული იქნა ქონების პრივატიზების პროცესის უზრუნველყოფის ღონისძიებები და ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმების წესი. კერძოდ:

ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი იქნება წერილობითი ხელშეკრულების ტოლფასი დოკუმენტი, რაც პრივატიზების პროცესის გამარტივების კიდევ ერთი საშუალებაა.

ამასთან, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპურ ფორმას ამტკიცებს მინისტრი.

პროცესით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში ქონების პრივატიზებისას სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის თანხმობით შესაძლებელი იქნება გაფორმდეს დამატებითი წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც იღება აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად მოქმედი კანონიდან ამოღებული იქნა რიგი მუხლები და პუნქტები, რაც განპირობებულია საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით გა გამოწვეულია პრივატიზების პროცესის ეფექტური წარმართვის მიზნით. აღნიშნული კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს პრივატიზების პროცესის დაჩქარებას და ეფექტურ წარმართვას.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.